

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებულები

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F-171
1964

8

აგვისტო

რედაქტორი უშ. თბოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ზელმოწერილია დასაბეჭდად 12/X-64 წელი. ანაწყობის ზომა 6×10.
ქალაქის ზომა 60×84. სისტემბო ფორმათა რაოდენობა 6.

ფასი 10 კპვ.

შეკ. 905.

ტ. 5050.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. №19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19.



ცირკულარულად

ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საწარმოო-სწავლებლიანი საშუალო სკოლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესახებ 1964—1965 სასწავლო წლისათვის

1964 წლის 14 აგვისტო, № 1/1443

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, ხამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებს

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ათწლიან ვადაზე გადასვლასთან დაკავშირებით წესდება ახალი სასწავლო გეგმა საშუალო სკოლის უფროსი (IX—X) კლასებისათვის. 1964—1965 სასწავლო წელს ამ გეგმით იმუშავენ მხოლოდ IX კლასები, ხოლო X—XI კლასები კი მუშაობას განაგრძობენ წინა წელს მოქმედი სასწავლო გეგმით მასში ზოგიერთი უმნიშვნელო შესწორების შეტანით.

ზოგიერთი ცვლილება შეეხო აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის I—VIII კლასების სასწავლო გეგმასაც, რაც ძირითადად იმით გამოიხატება, რომ შემცირდა საათების რაოდენობა ზოგიერთ საგანში და ამასთან გეგმიდან სრულიად ამოღებულ იქნა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის გათვალისწინებული საათები III—VIII კლასებში.

სასწავლო გეგმებში შეტანილ ზემოხსენებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, 1964—1965 სასწავლო წელს სკოლებმა უნდა ისარგებლონ თანდართული სასწავლო გეგმებით.

რაც შეეხება პროგრამებს, რვაწლიან სკოლაში და აგრეთვე საშუალო სკოლის IX კლასებში, გამოყენებული უნდა იქნეს მოქმედი პროგრამები იმ შესწორებებით, რაც დანართებშია მოცემული.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი




სასწავლო გეგმა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის I—VIII კლასებისათვის
(1964—1965 სასწ. წელი)



№№ რ.	სასწავლო საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით							
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	ქართული ენა	12	9	8	6	4	4	3	2
2	ქართული ლიტერატურა	—	—	—	—	2	2	2	3
3	რუსული ენა	—	5	6	6	6	5	4	4
4	მათემატიკა	6	6	6	6	6	6	6	5
5	ისტორია. სსრკ კონსტიტუცია	—	—	—	2	2	2	3	3
6	ბუნებისმცოდნეობა	—	—	—	2	—	—	—	—
7	გეოგრაფია	—	—	—	—	2	2	2	4/3
8	ბიოლოგია	—	—	—	—	2	2	2	2
9	ფიზიკა	—	—	—	—	—	2	2	3
10	ქიმია	—	—	—	—	—	—	2	2
11	ხაზვა	—	—	—	—	—	—	1	1
12	უცხო ენა	—	—	—	—	3	2	2	2/3
13	სახვითი ხელოვნება	2/1	1	1	1	1	1	—	—
14	მუსიკა და სიმღერა	1/2	1	1	1	1	1	—	—
15	ფიზიკური კულტურა	2	2	2	2	2	2	2	2
16	ზრომითი სწავლება	1	1	1	1	2	3	3	2
	სულ	24	25	25	27	33	34	34	35
17	საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკა:								
	დღეები	—	—	—	—	6	6	6	—
	საათები	—	—	—	—	18	24	24	—



1. შრომაში მეცადინეობისას (V—VIII კლასებში) კლასიდან კლასში გადასვლა უნდა იქონიოს მხოლოდ იმ მოსწავლეთა რაოდენობა 25-ზე მეტი.

სკოლაში, სადაც არ არის პარალელური კლასები და VI—VII კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულში 25 ან 25-ზე ნაკლებია, კლასი აგრეთვე გაიყოფა ორ ჯგუფად, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კლასის გოგონები წინა სასწავლო წელს მეოჯახეობას სწავლობდნენ.

2. 1964—1965 სასწავლო წელს იმ სკოლებში, სადაც უცხო ენას ასწავლის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი V, VI, VII და VIII კლასებში უცხო ენაში მეცადინეობისას კლასი გაიყოფა ორ ჯგუფად, თუ თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25-ზე მეტია და სკოლა უზრუნველყოფილია საჭირო საკლასო ოთახებით.

3. საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკა, რომელსაც V, VI, VII კლასებში ეთმობა ექვს-ექვსი დღე, ადგილობრივი პირობების შესაბამისად ჩატარდება სასწავლო სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სხვ. ამასთან მეხუთე კლასის მოსწავლეები მუშაობენ დღეში სამ საათს, ხოლო მეექვსე და მეშვიდე კლასებისა — ოთხ-ოთხ საათს.

4. მეშვიდე და მერვე კლასებში ისტორიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან 52 საათი ეთმობა საქართველოს ისტორიის იმ საკითხების შესწავლას, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის ისტორიის კურსში.

5. მერვე კლასში გეოგრაფიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან 35 საათი ეთმობა საქართველოს სსრ გეოგრაფიის შესწავლას.

6. სასწავლო მეცადინეობის, არდადეგების, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების, სასწავლო მეოთხედების დაწყებისა და დამთავრების ვადები, აგრეთვე საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკის ჩატარების წესი უცვლელი რჩება.

სასწავლო გეგმა

საწარმოო სწავლებიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
 მითი პოლიტექნიკური სკოლების IX—X კლასებისათვის, რომელთა
 თა მოსწავლეები 1964—1965 სასწავლო წელს ჩაირიცხებიან IX
 კლასში და საშუალო სკოლას დაამთავრებენ 1965—1966 სასწავ-
 ლო წლის ბოლოს

№№	სასწავლო საგნების დასახელება	სათ. რაოდ. კვირაში		სულ საათე- ების რაოდ.	
		1964-65 სსწ.წელი	1965-66 სსწ.წელი	კვირეული	წლიური
		IX	X		
1	ქართული ლიტერატურა	5/4	4/3	8	280
2	რუსული ენა და ლიტერატურა	4	4	8	280
3	მათემატიკა	6	6	12	420
4	ისტორია	3/4	3/4	7	245
5	საზოგადოებათმცოდნეობა	—	2	2	70
6	გეოგრაფია	—	2	2	70
7	ფიზიკა	5	5	10	350
8	ასტრონომია	—	1	1	35
9	ქიმია	4	3	7	245
10	ბიოლოგი	2	—	2	70
11	უცხო ენა	1	1	2	70
12	ხაზვა	1	—	1	35
13	ფიზკულტურა	1	1	2	70
	ს უ ლ	32	32	64	2240
14	საწარმოო სწავლება	4	4	8	280
	საწარმოო პრაქტიკა				
	დღეები	42	12	—	54
	საათები	252	72	—	324
15	ფაკულტატიური მეცადინეობა (მათ შორის IX და X კლასებში თითო საათი სავალდებულო წესით დაეთმობა უცხო ენას და ფიზიკურ კულტურას, ხოლო თითო საათი მოხმარდება მოცე- მული სკოლისათვის დაწესებული სპეცია- ლობის შესწავლას).	3	3	6	210



1. მოსწავლეები, რომლებმაც 1963-1964 სასწავლო წელს ამთავრეს რვაწლიანი სკოლა, საშუალო განათლების მეორე ეტაპზე სწავლობენ ორი წლის განმავლობაში—1964-1965 და 1965-1966 სასწავლო წლებში.

2. სასწავლო მეცადინეობის ხანგრძლიობა IX—X კლასებში 35-35 კვირას შეადგენს; მეცადინეობა იწყება პირველ სექტემბერს და მთავრდება IX კლასში 21 ივნისს, ხოლო X კლასში—12 ივნისს.


3. გადასაყვანი გამოცდები IX კლასში ტარდება 22-დან 28 ივნისამდე (6 დღის განმავლობაში), ხოლო გამოსაშვები გამოცდები X კლასში—14-30 ივნისის განმავლობაში.

4. საწარმოო პრაქტიკა IX კლასში ორ ეტაპად ტარდება: სამი კვირის, ანუ 18 დღის განმავლობაში სასწავლო მეცადინეობის პერიოდში და ოთხი კვირის, ანუ 24 დღის განმავლობაში—არასამეცადინეო დროს, ზაფხულის პერიოდში. რაც შეეხება X კლასებს, ისინი 1965-1966 სასწავლო წელს საწარმოო პრაქტიკას გაივლიან სასწავლო მეცადინეობის პერიოდში ორი კვირის, ანუ 12 დღის განმავლობაში.

სასწავლო მეცადინეობის პერიოდში საწარმოო პრაქტიკა კონცენტრული წესით უნდა იქნეს ორგანიზებული და იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სწორი მონაცვლეობა სასწავლო მეცადინეობასა და პრაქტიკას შორის. ცალკეულმა სკოლამ სასწავლო-საწარმოო ბაზის მხრივ არსებული პირობების გათვალისწინებით სათანადო გრაფიკის მიხედვით საწარმოო პრაქტიკა სასწავლო მეცადინეობის პერიოდში შეიძლება ჩატაროს სამ ნაწილად—თითო კვირით თითოეული, ან ორ ნაწილად—ორი კვირა და ერთი კვირა, მაგრამ იმგვარად, რომ სასწავლო წლის დასაწყისი და დასასრული სასწავლო მეცადინეობას ემთხვეოდეს.

სასწავლო გეგმა

საწარმო-სწავლებიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებლის
 თი პოლიტექნიკური ქალაქისა და სოფლის სკოლების სწავლებლის
 დაცით—X—XI კლასებისათვის (1964—1965 სასწ. წელი)



№/№	სასწავლო საგნების დასახელება	სასწ. საათების რაოდ. კვირაში კლასების მიხედვით			
		ქალაქი		სოფელი	
		X	XI	X	XI
1	ქართული ლიტერატურა	3	3	3/4	4/3
2	რუსული ენა და ლიტერატურა	3	3	4/3	3/4
3	მათემატიკა	4	5	5	5/6
4	ისტორია	4	3	4	4/3
5	საზოგადოებრივი მეცნიერება	—	2	—	2
6	გეოგრაფია	2	—	3/2	—
7	ფიზიკა	4	4	4	5/4
8	ასტრონომია	1	1	1	1
9	ქიმია	2	3	2	3,4
10	ბიოლოგია	—	—	—	—
11	უცხო ენა	2	3	2/3	3
12	ხეზევა	—	—	—	—
13	ფიზიკური კულტურა	2	1	2	2
ჯ ა მ ი .		27	28	30	32
14	ზოგადტექნიკური საგნები. საწარმო- (თეორიული და პრაქტიკული) სწავ- ლება და მწარმოებლური შრომა	9	8	—	—
15	სოფლის მეურნეობის წარმოების საფუძ- ვლები და საწარმოო (თეორიული და პრაქტიკული) სწავლება სპეცია- ლობის მიხედვით	—	—	6	4
ს უ ლ		36	36	36	35
16	პრაქტიკული საწარმოო სწავლება და მწარმოებლური შრომა: დღეები	—	—	42	18
	საათები	—	—	252	108
17	ფაკულტატიური მეცადინეობა სპორტ- ში, ხელოვნებაში, სამეცნიერო და ტექნიკურ წრეებში და სხვ.	2	2	2	2

შენიშვნები:

1. სასწავლო მეცადინეობის სასწავლო კვირათა რაოდენობა კლასებში—არდა-
 დეგების, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების, სასწავლო
 მეოთხედების დაწყებისა და დამთავრების ვადები და აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის
 ჩატარების წესი ამ კლასებში უცვლელი რჩება.

2. სოფლის საშუალო სკოლის X კლასში ფაკულტატიური მეცადინეობისათვის
 გათვალისწინებული ორი საათიდან ერთი საათი დამატებით გამოყენებული უნდა
 იქნეს ფიზიკის შესწავლისათვის.

მ ი თ ი თ ე ბ ე ბ ი

რვაწლიანი სკოლის სასწავლო პროგრამების გამოყენების შესახებ 1964—1965 სასწავლო წლისათვის

იმასთან დაკავშირებით, რომ 1964—1965 სასწავლო წელს რვაწლიან სკოლაში რიგ საგნებში შემცირებულია სასწავლო საათების რაოდენობა, ამ საგნებში საპროგრამო მასალის გაგლისას სკოლებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით.

ქართული ენა

IV კლასში ახალი სასწავლო გეგმით ქართულ ენას აკლდება ერთი კვირეული საათი. ამასთან დაკავშირებით ამ კლასში „მხატვრული ნაწარმოების კითხვას, წერის ჩვენებს, მეტყველების განვითარებას“ (იხ. რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების პროგრამები, 1963 წ., გვ. 27) ნაცვლად 5 კვირეული საათისა დაეთმობა 4 კვირეული საათი.

რვაწლიანი სკოლის სხვა კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო გეგმასა და პროგრამებში ცვლილებები არ არის შეტანილი.

Русский язык

В связи с тем, что на изучение русского языка в VII классе ныне отводится 140 часов, т. е. на 18 часов меньше, чем в прошлом учебном году, в учебную программу вносятся следующие изменения:

На повторение пройденного материала по грамматике в начале учебного года вместо 4 часов отводится 2 часа, а на повторение в течение учебного года вместо 8 часов—4 часа. Из программы классного чтения исключается рассказ „Ивины“ Л. Н. Толстого—4 часа; на повторение отводится вместо 8 часов—4 часа; на внеклассное чтение вместе 8 часов—4 часа.

1964-1965 სასწავლო წლიდან საქართველოს ისტორიის სწავლება ძირითადად გათვალისწინებულია რვაწლიან სკოლაში, თან დაკავშირებით VII—VIII კლასებში საქართველოს ისტორიის სწავლებისას გამოყენებულ უნდა იქნას IX—XI კლასების სახელმძღვანელო (ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1963 წლის გამოცემა).

მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ VII—VIII კლასებში ამ სახელმძღვანელოს გამოყენების სირთულე და იმგვარად უნდა მოაწყონ აღნიშნულ სახელმძღვანელოზე მუშაობა, რომ უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლა

რეკომენდებულია საათების შემდეგი სავარაუდო განაწილება ცალკეულ თემებზე.

VII კლასი

1. პირველყოფილ-თემური წყობილება საქართველოში (2 საათი).
2. ადრემონათმფლობელური ურთიერთობის გაბატონება საქართველოში (2 საათი).
3. ქართლის ადრემონათმფლობელური სახელმწიფოს განმტკიცება (2 საათი).
4. საქართველო ადრემონათმფლობელურ ურთიერთობათა რღვევისა და ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვის ხანაში (2 საათი).
5. საქართველო ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის ხანაში (3 საათი).
6. ფეოდალიზმის განვითარება და საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნა (3 საათი).
7. საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში (3 საათი).
8. ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლ დამპყრობელთა წინააღმდეგ XIII—XIV საუკუნეებში (2 საათი).
9. საქართველო XV—XVI საუკუნეებში (2 საათი).
10. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVII საუკუნეში (3 საათი).
11. საქართველო XVIII საუკუნეში (3 საათი).
12. საქართველო XIX საუკუნის პირველ მესამედში (2 საათი).
13. ნატურალური მეურნეობის რღვევა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა XIX საუკუნის 30-50-იან წლებში (3 საათი).

14. ქართული კულტურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (1 საათი).

გ ა მ ე ო რ ე ბ ა (2 საათი).

VIII კლასში საქართველოს ისტორიის სწავლების მდგომარეობა არ შეცვლილა. ამ კლასში საქართველოს ისტორიის სწავლებისას მასწავლებლებმა უნდა იხელმძღვანელონ მოქმედი პროგრამითა და ზემოხსენებული სახელმძღვანელოთი.

ბუნებისმცოდნეობა

IV კლასი

ამ კლასში კვირეული საათების ერთი საათით შემცირებასთან დაკავშირებით, პროგრამიდან ამოღებულია თემები: ა) „ადამიანის სხეული და მისი მოვლა“; ბ) „ჟანგბადი და ნახშირორჟანგი, როგორც ჰაერის შემადგენელი ნაწილები“.

ამასთან დაკავშირებით, III კლასში ახსნითი კითხვის გაკვეთილებზე უნდა გაძლიერდეს ყურადღება იმ მოთხრობებზე, რომლებშიც გაშუქებულია ჰიგიენური ჩვევების საკითხები. IV კლასში ბუნებისმცოდნეობის კურსის თემების—„წყალი“, „ჰაერი“, „სამხრეთი—ჩვენი ჯანმრთელობის კერა“—შესწავლის დროს აგრეთვე საჭიროა გაღრმავდეს ბავშვთა სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნა.

ბუნებისმცოდნეობის პროგრამის დანარჩენი მასალის შესწავლა რეკომენდებულია დაიგეგმოს შემდეგნაირად: რა არის ბუნება—3 საათი; მიდამოს ხედიდან გეგმისაკენ—10 საათი; ჩვენი სამშობლოს რუკა—10 საათი; ხმელეთი და მისი ზედაპირი—3 საათი; წყალი ბუნებაში—10 საათი; ჰაერი—8 საათი; სასარგებლო წიაღისეული—9 საათი; ბუნებისა და შრომის სურათები ჩვენს ქვეყანაში—17 საათი.

თავისი მიდამოს შესწავლა უნდა გაღრმავდეს იმგვარად, რომ უფრო კონკრეტულად განიხილებოდეს მხარეთმცოდნეობითი საკითხები ბუნებისმცოდნეობის კურსის ყველა თემის გავლის დროს (სად მდებარეობს თავისი მიდამო სამშობლოს რუკაზე, ზედაპირი, სასარგებლო წიაღისეული, წყლები, წელიწადის დროები).

გეოგრაფია

VIII კლასი

VIII კლასში კვირეული საათების რაოდენობა გეოგრაფიაში გადიოდა 2,5 საათიდან 3,5 საათამდე. ამ დამატებითი საათისა და აგრეთვე მოქმედი პროგრამით გათვალისწინებული მასალის

შესწავლისათვის ნავარაუდები საათების რაოდენობის რამდენადმე შემცირების ხარჯზე, ახალ 1964—1965 სასწავლო წელს ^{საქართველოს} ~~სსრ~~ ში ისწავლება არა მხოლოდ სსრ კავშირის ფიზიკური, ~~აგრეთვე~~ ^{აგრეთვე} სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია (სსრ კავშირის მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა და აგრეთვე ცნობები სსრ კავშირის ეკონომიური დარაიონების შესახებ. საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიიდან შესწავლილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა).

კურსის შესწავლა რეკომენდებულია დაიგეგმოს შემდეგნაირად: სსრ კავშირის მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა შესწავლილ იქნეს სასწავლო წლის ბოლოს თემის — „თავისი რაიონის“ შესწავლის წინ. რვაწლიანი სკოლის პროგრამით გათვალისწინებული სსრ კავშირის ცალკეული რაიონის შესწავლისას შეიძლება მოსწავლეებს გავაცნოთ რიგი ისეთი ეკონომიურ-გეოგრაფიული ცნებები, როგორცაა, მაგალითად, ბუნებრივი რესურსები, რაიონის მეურნეობის სპეციალიზაცია და სხვ, მთავარია მოსწავლეები შევიაჩლოთ ისეთი ცოდნით, რომ მათ შესძლონ რაიონის ბუნებრივი პირობების ელემენტარული ეკონომიური შეფასება.

თემის — „რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა“ შესწავლას, ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული 21 საათისა, დაეთმობა 26 საათი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თემას „რსფსრ-ის ზოგადი დახასიათება“, რომლის შესწავლისათვის რეკომენდებულია გამოიყოს 5 საათი, ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული 1 საათისა. პროგრამით გათვალისწინებული რსფსრ დიდი გეოგრაფიული მხარეების შესწავლისას თემების შინაარსი უნდა შეივსოს რსფსრ ზოგადი ეკონომიურ გეოგრაფიული დახასიათებით. ასევე, საქართველოს სსრ ცალკეული მთავარი გეოგრაფიული მხარეების შესწავლის დროსაც თემების შინაარსი აგრეთვე უნდა გამდიდრდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მასალებით. დამატებითი დროის ხარჯზე რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიის პროგრამით გათვალისწინებული რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და აგრეთვე საქართველოს სსრ ყველა მთავარი გეოგრაფიული მხარის შესწავლის შემდეგ, შეიძლება გათვალისწინებული იქნეს თითო-თითო განმაზოგადებელი გაკვეთილის ჩატარება. ამ გაკვეთილებზე მოსწავლეთა მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ რსფსრ და საქართველოს სსრ გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი რესურსების შეფასებას და ამ რესპუბლიკე-

ბის მთავარი გეოგრაფიული მხარეების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში განსხვავებათა გამოვლენას.



თემის „თავისი რაიონი“, ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული 4 საათისა, დაეთმობა 8 საათი, ხოლო მისი შესწავლისას მოსწავლეებს ეძლევათ არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული, არამედ ეკონომიურ გეოგრაფიული მიმოხილვაც. ყველა ახალი მასალა, რომელიც ემატება VIII კლასის გეოგრაფიის კურსს, შეისწავლება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიის პროგრამის შესაბამისი თემების შინაარსთან შეფარდებით.

სასარგებლო იქნება გეოგრაფიის რეფულეზში შემოვიდოთ ახალი ეკონომიურ-გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების შინაარსის მოკლე ახსნა-განმარტებითი ლექსიკონი.

ბუნებრივი პირობების, ბუნებრივი რესურსების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების განსხვავებათა ცოდნა, რომელსაც ლეზულობენ მოსწავლეები ქვეყნის რაიონების შესწავლისას, მოამზადებს ნიადაგს სსრ კავშირის მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვის უფრო შეგნებული შეთვისებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ზოგადი მიმოხილვის გაკვეთილები მეტწილად შეიძლება აიკოს როგორც მოსწავლეთა ცოდნის განმაზოგადებელი გაკვეთილები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ზოგადი მიმოხილვის გაკვეთილებზე დიდი ადგილი უნდა დაიჭიროს საუბარმა, რომელიც განამტკიცებს წინათ შეთვისებულ ცოდნას. საუბრები შეფარდებული უნდა იყოს ზოგადი მიმოხილვის ძირითადი საკითხების ახსნასთან და მისაწვდომი მერვეკლასელ მოსწავლეთათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელოს ყველაზე ძნელი განყოფილების ახსნა-განმარტებას.

ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვის დასკვნაში განიხილება თემა „სსრ კავშირის ეკონომიური დარაიონება“. მის შესასწავლად გამოყოფილია 2 საათი. აქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სსრ კავშირის მსხვილი (ძირითადი) ეკონომიური რაიონების გამოყოფის პრინციპებში გარკვევას, განხილულ უნდა იქნეს თვრამეტი რაიონის ბადე, რის შემდეგ მოსწავლეებს უნდა მიექცეს სახალხო სამეურნეო სპეციალიზაციის ძირითად განსხვავებათა და ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დარაიონების პრინციპების როლის მოკლე დახასიათება.

თემის დასკვნაში მიზანშეწონილია მივცეთ განმარტება იმის შესახებ, რომ მრეწველობის უკეთ მართვისა და მსხვილი (ძირი-



თადი) ეკონომიური რაიონების შიგნით მეურნეობის უკეთესად განვითარებისათვის შექმნილია 47 უფრო მცირე მასშტაბის ეკონომიური რაიონი.

ამის შემდეგ VIII კლასები გადავლენ საქართველოს სახალხო მეურნეობის ზოგადი მიმოხილვის შესწავლაზე. ამ თემის შესწავლას ეთმობა 5 საათი. აქაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სახალხო მეურნეობის ზოგადი მიმოხილვის საკითხების ახსნასა და სახელმძღვანელოს რთული ადგილების განმარტებას. გარდა ამისა, აქვე უნდა გაიჩვენოს, თუ რა ადგილი უჭირავს საქართველოს სს რესპუბლიკას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში.

თემა „თავისი რაიონი“ შეისწავლება წლის ბოლოს. დროის მომატება ამ თემაზე საშუალებას იძლევა, რომ უფრო დეტალურად განვიხილოთ თავისი რაიონის კომპლექსური გეოგრაფიული დახასიათება. აუცილებელია ფართოდ გამოვიყენოთ მოსწავლეთა მიერ დაგროვილი სამხარეთმცოდნეო მასალა.

ძირითად სახელმძღვანელოდ 1964-1965 სასწავლო წელს უნდა გამოვიყენოთ: კ. ფ. სტროვეის „სსრ კავშირის გეოგრაფია“ და ნაწილობრივ ნ. ი. ლიალიკოვის „სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია“ (განყოფილება „სსრ კავშირის მიმოხილვა მთლიანად და მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით“), აკად. ა. ნ. ჯავახიშვილის „საქართველოს სსრ გეოგრაფია“ და ნაწილობრივ პროფ. ლ. კარბელაშვილისა და პროფ. გ. გეტმანის „საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფია“ (განყოფილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა“).

VIII კლასის გეოგრაფიის კურსის თემატიკური გეგმის თანმიმდევრობა და საათების საბოლოოდ გადანაწილება ასეთია: საშემოდგომო ექსკურსია—2 საათი; განყოფილების „სსრ კავშირის ზოგადი მიმოხილვა“ გამეორება—1 საათი; რსფსრ ზოგადი დახასიათება—5 საათი; რსფსრ ევროპული ნაწილი—9 საათი; ურალი—3 საათი; დასავლეთი ციმბირი—3 საათი; აღმოსავლეთი ციმბირი—3 საათი; შორეული აღმოსავლეთი—3 საათი; უკრაინის სსრ და მოლდავეთის სსრ—3 საათი; ბელორუსიის სსრ—2 საათი; ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკები—3 საათი; ამიერკავკასიის მოკლე ზოგადი მიმოხილვა—2 საათი; საქართველოს სსრ—35 საათი; აზერბაიჯანის სსრ—1 საათი; სომხეთის სსრ—1 საათი; ყაზახეთის სსრ—3 საათი; შუა აზიის მოკავშირე რესპუბლიკები—6 საათი; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დახასიათება—20 საათი; სსრ კავშირის ეკონომიური დარაიონება—2 საათი; საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა—5 საათი; თავისი რაიონი—8 საათი; ექსკურსია—2 საათი; გამეორება—1 საათი.

VI—VII კლასებში უცხო ენების შესწავლისათვის განკუთვნილი დროის შემცირებასთან დაკავშირებით რამდენადმე იცვლება მოთხოვნები პრაქტიკული ცოდნა-ჩვევების დაუფლებისადმი.

VI კლასის ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების პროგრამიდან ამოღებულია:

„დ) კითხვების დასმა ტექსტის შინაარსის მიხედვით. ტექსტის მთავარი შინაარსის გადმოცემა კითხვების სახით შედგენილი გეგმის მიხედვით;

ე) მასწავლებლის მიერ ნაამბობი ფაბულიანი მოთხრობების გაგება;

ვ) ლექსების ზეპირად წაკითხვა“.

VII კლასის ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების პროგრამიდან ამოღებულია:

„გ) გაგება მოსმენილი ფაბულიანი მოთხრობისა, რომელიც შეიცავს ნაცნობ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას და კონტექსტის მიხედვით ადვილად გასაგებ 1-2 ახალ სიტყვას.

დ) გაგება გრამფირფიტაზე ჩანაწერისა, რომელიც აგებულია შესწავლილ ენობრივ მასალასა და განვლილ თემატიკაზე;

ე) დიალოგების ზეპირად წაკითხვა“.

რეკომენდებულია აგრეთვე სახელმძღვანელოებში მოცემული შესწავლილი მასალის რამდენადმე შემცირება. სახელდობრ ინგლისური ენის VI კლასის სახელმძღვანელოდან (ი. ს. გვარჯალაძე, მ. ნ. ორემბოგესკაია, ა. ნ. ორემბოგესკაია, თ. ს. გვარჯალაძე) ამოღებულია მე-3, მე-6, მე-15, 21-ე, 24-ე, 27-ე, 30-ე, 33-ე და 38-ე გაკვეთილები; ინგლისური ენის VII კლასის სახელმძღვანელოდან (გ. ჯაფარიძე, ტ. თოფურაძე) მე-6, მე-8, მე-12, მე-15, მე-16, მე-17, 21-ე, 22-ე, 26-ე, 29-ე, 31-ე, 36-ე გაკვეთილები და საკითხავი მასალა მე-15, 34-ე, 44-ე, 48-ე, 71-ე, 81-ე და 114-ე გვერდებზე; გერმანული ენის VI კლასის სახელმძღვანელოდან (ფ. ზოლოტარიოვა)—მე-7, მე-13, მე-17, მე-20, 25-ე, 32-ე და 34-ე პარაგრაფები; VII კლასის სახელმძღვანელოდან (ლ. ბასილაძე და თ. კავკასიძე)—მე-7 გვერდზე მე-4 და მე-5 გაკვეთილები; მე-16 გვერდზე მე-3 და მე-4 გაკვეთილები; 61-ე გვერდზე მე-3 და მე-4 გაკვეთილები; 68-ე გვერდზე მე-3, მე-4 და მე-5 გაკვეთილები და ყველა საკითხავი მასალა ე. წ. „ლეხეშტუკები“; ფრანგული ენის VI კლასის სახელმძღვანელოდან (ე. ლებანიძე და მ. მოისწრაფიშვილი) მე-2 მე-8, მე-11, მე-15, მე-19, 25-ე, 27-ე, 30 ე და 32-ე გაკ-

ვეთილები; ფრანგული ენის VII კლასის სახელმძღვანელოდან (თ. სარჯველაძე, ქ. ჩოჩია, რ. ჩხენკელი)—მე-5, მე-14, მე-15, მე-24-ე, 26-ე გაკვეთილები.

სამივე ენაში ზემოდასახელებული პარაგრაფებისა და გაკვეთილების ტექსტები მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს კლასგარეშე საკითხავ მასალად.

შრომითი სწავლება

V და VIII კლასებში

1964-1965 სასწავლო წელს შრომით სწავლებას V და VIII კლასებში ეთმობა ორ-ორი საათი კვირაში (ნაცვლად სამ-სამი საათისა). ამასთან დაკავშირებით პროგრამიდან ამოღებულია:

ქალაქის სკოლების V კლასში—საცდელ-პრაქტიკული მუშაობა სოფლის მეურნეობაში, VIII კლასში—კომპლექსური სამუშაოები და მეოჯახეობა; სოფლის სკოლის VIII კლასში—საცდელ-პრაქტიკული მუშაობა სოფლის მეურნეობაში და მეოჯახეობა; სოფლის სკოლების V კლასში—საცდელ-პრაქტიკულ მუშაობას სოფლის მეურნეობაში ეთმობა 34 საათი (1 კვირეული საათი), ხოლო სახელოსნოებში მუშაობას აგრეთვე—36 საათი (1 კვირეული საათი). ამ კლასში სახელოსნოებში მუშაობისათვის საათები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: ვაჟებისათვის—18-18 საათი მერქანსა და ლითონზე მუშაობა; გოგონებისათვის—18-18 საათი მერქანზე მუშაობა და მეოჯახეობაში მეცადინეობა. ამ შემთხვევაში V კლასში მეცადინეობა უნდა მოეწყოს გაწყვილებულ საათებში სასწავლო წლის პირველ ან მეორე ნახევარში.

ქალაქის და სოფლის სკოლების VIII კლასებში ვაჟები და გოგონები, ვაჟებისათვის განკუთვნილი პროგრამით სწავლობენ მხოლოდ „შრომის მექანიზაციას“ (კომპლექსური სამუშაოების გამოკლებით) და „ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს“.

VIII კლასში ჩასათვლელი სამუშაოების ნაცვლად ჩატარდება ორი საკონტროლო სამუშაო „შრომის მექანიზაციასა“ და „ელექტროსამონტაჟო სამუშაოებში“ ცალ-ცალკე. თითოეულ საკონტროლო სამუშაოს ეთმობა ორ-ორი საათი გაწყვილებულად.

მ ი თ ი თ ე ბ ე ბ ი

ახალი სასწავლო გეგმების შესაბამისად არსებული სასწავლო პროგრამების გამოყენების შესახებ საწარმოო-სწავლებლიანი საშუალო სკოლების IX კლასებში 1964—65 სასწავლო წლისათვის

1964—1965 სასწავლო წელს IX კლასები. ხოლო 1965—1966 სასწავლო წელს X კლასებიც იმუშაებენ ახალი სასწავლო გეგმებით, მაგრამ გამოიყენებენ ადრე მოქმედ პროგრამებს; ცალკეულ საგნებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასწავლო პროგრამების საათების შემდეგი ახალი გადანაწილება ძირითადი თემების მიხედვით.

ქართული ლიტერატურა IX კლასი


(5/4 კვირეული საათი, სულ 157 საათი).

IX კლასში შეისწავლება ძველი და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა XIX საუკუნის 80-იან წლებამდე. ამ კლასში შესავალს დაეთმობა 2 საათი; ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდის ზოგად მიმოხილვას—1 საათი; იაკობ ცურტაველს (ხუცესს)—5 საათი; იოანე საბანიძეს—1 საათი; გიორგი მერჩულეს—5 საათი; ქართული მწერლობის მეორე პერიოდის ზოგად მიმოხილვას—2 საათი; შოთა რუსთაველს—33 საათი; ძველი ქართული მწერლობის მესამე პერიოდის ზოგად მიმოხილვას—1 საათი; თეიმურაზ პირველს—2 საათი; არჩილს—2 საათი; სულხან-საბა ორბელიანს—7 საათი; დავით გურამიშვილს—5 საათი; ბესარიონ გაბაშვილს (ბესიკს)—1 საათი.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას IX საუკუნის დასაწყისიდან 40 იან წლებამდე დაეძღვნება 1 საათი; ალ. ჭავჭავაძეს—5 საათი; გრ. ორბელიანს—5 საათი;

2. კრებული.



ნ. ბარათაშვილს—9 საათი; 50-იანი წლების მიმოხილვას—2 საათი;
გ. ერისთავს—4 საათი; დანიელ ჭონჭაძეს—2 საათი; არდაზიანს—2 საათი;
60—70-იანი წლების მიმოხილვას—2 საათი; ილ. ჭავჭავაძეს—25 საათი;
აქ. წერეთელს—18 საათი; გ. წერეთელს—6 საათი.

IX კლასში ლიტერატურის თეორიის იგივე საკითხები შეისწავლება, რაც ამჟამად მოქმედი პროგრამით არის გათვალისწინებული IX და X კლასებში. ამასთან ერთად, უცვლელია ზეპირად დასასწავლი ტექსტების სია. გამეორებას დაეთმობა 9 საათი.

X კლასი (4/3 კვირეული საათი, სულ 122 საათი).

X კლასის პროგრამა იწყება XIX საუკუნის 80 იანი წლების მიმოხილვით. საათები ასეა განაწილებული: XIX საუკუნის 80-იანი წლებს ეთმობა 1 საათი; ა. ყაზბეგს—7 საათი; ვაჟა ფშაველას—12 საათი; ხალხოსნებს ქართულ ლიტერატურაში—1 საათი; 1890-1900-იანი წლების მხატვრულ ლიტერატურას—1 საათი; ეგ. ნინოშვილს—6 საათი; დავით კლდიაშვილს—10 საათი; 1905 წლის რევოლუციისა და რეაქციის წლების მხატვრულ ლიტერატურას—1 საათი; ირ. ეგდოშვილს—5 საათი; საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზებსა და მის ძირითად ნიშნებს—3 საათი; შალვა დადიანს—5 საათი; მიხეილ ჯავახიშვილს—15 საათი; ვალაკტიონ ტაბიძეს—8 საათი; იოსებ გრიშაშვილს—6 საათი; ლეო ქიაჩელს—12 საათი; გ. ლეონიძეს—5 საათი; ალ. მირცხულავას—3 საათი; კონსტანტინე ლორთქიფანიძეს—8 საათი; სიმონ ჩიქოვანს—2 საათი; ირ. აბაშიძეს—2 საათი; ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიმოხილვას—4 საათი.

X კლასში ლიტერატურის თეორიის ის საკითხები შეისწავლება, რაც გათვალისწინებულია ამჟამად მოქმედი პროგრამით XI კლასში. ზეპირად შესასწავლი ტექსტები იგივე რჩება.

გამეორებას დაეთმობა 5 საათი.

Русский язык и литература

IX класс (4 часа в неделю, всего 140 часов)

Русский язык (60 часов)

Фонетика—5 часов; Морфология—6 часов; Части речи—1 час; Имя существительное—14 часов; Имя прилагательное—9 часов; Имя числительное—4 часа; Местоимение—5 часов.

Повторение—8 часов.

Письменные работы по русскому языку и литературе—8 часов.



Пушкин А. С. Биография—3 часа; „К Чаадаеву“—стихотворение—3 часа; „Послание в Сибирь“—стихотворение—3 часа; „Станционный смотритель“—повесть—6 часов, „Памятник“—стихотворение—3 часа.

Лермонтов М. Ю. Биография—2 часа; „Смерть поэта“—стихотворение—4 часа; „Мцыри“—поэма—7 часов.

Гоголь Н. В. Биография—2 часа; „Шинель“—рассказ—5 часов; „Мертвые души“—поэма (отрывок „Чичиков“)—5 часов.

Тургенев И. С. Биография—2 часа; „Русский язык“—стихотворение в прозе—1 час; „Бурмистр“—рассказ—5 часов.

Некрасов Н. А. Биография—2 часа; „Железная дорога“—поэма—4 часа.

Толстой Л. Н. Биография—3 часа; „После бала“—рассказ—5 часов.

Чехов А. П. Биография—2 часа; „Человек в футляре“—рассказ—5 часов.

Повторение—8 часов.

X класс (1965-66 учебный год)

(4 часа в неделю, всего 140 часов)

Русский язык (80 часов)

Морфология. Глагол—11 часов; Причастие—4 часа; Деепричастие—3 часа; Наречие—4 часа; Предлог—2 часа; Союз—2 часа; Частицы и междометия—2 часа.

Синтаксис. Простое предложение—5 часов; Второстепенные члены предложения—7 часов; Однородные члены предложения—3 часа; Сложное предложение—4 часа; Сложноподчиненные предложения—9 часов; Бессоюзные сложные предложения—2 часа; Обособленные члены предложения—2 часа; Слова, грамматически не связанные с членами предложения—2 часа; Прямая и косвенная речь—2 часа.

Повторение—8 часов.

Письменные работы по русскому языку и литературе—8 часов.



Обзор русской литературы XIX века (повторение) — 2 часа

В. И. Ленин о литературе — 1 час.

Горький А. М. Биография — 3 часа; „Песня о Соколе“ — 3 часа; „Песня о Буревестнике“ — 3 часа; „Мать“ (главы из романа) — 8 часов.

Маяковский В. В. Биография — 2 часа; „В И. Ленин“ — поэма (отрывки) — 4 часа; „Стихи о советском паспорте“ — 3 часа.

Островский Н. А. Биография — 2 часа; „Как закалялась сталь“ (главы из романа) — 5 часов.

Фадеев А. А. Биография — 1 час; „Молодая гвардия“ (главы из романа) — 5 часов.

Шолохов М. А. Биография — 1 час; „Судьба человека“ — рассказ — 6 часов.

Твардовский А. Т. Биография — 1 час; „Василий Теркин“ — (главы из поэмы) — 4 часа.

Повторение — 6 часов.

В 1964—1965 учебном году в X классах увеличено количество учебных часов. Эти часы перераспределяются между учебным материалом по русскому языку и русской литературе по усмотрению преподавателя.

მათემატიკა

უფროს კლასებში არსებული პროგრამით მათემატიკაზე განკუთვნილი საათების რიცხვი კლასების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

სასწავლო საგნები	კლასები		საათების საერთო რიცხვი კვირაში
	IX	X	
1. ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები	4	4	8
2. გეომეტრია	2	2	4
სულ	6	6	12

ამასთან დაკავშირებით სასწავლო პროგრამებში შემდეგი ცვლილებები შედის:

განყოფილებაში „ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები“ შესასწავლი საკითხების ნომენკლატურა იგივე რჩება. ძირითადი ხდება სასწავლო საათების შინაგანი გადანაწილება. ამ განყოფილების ტრიგონომეტრიული ნაწილიდან ამოღებულია თემა „პარმონიულ რხევათა შესწავლა“.

განყოფილებაში „გეომეტრია“ პროგრამიდან მთლიანად ამოღებულია თემა „გეომეტრიული გარდაქმნები“. როგორც დამოუკიდებელი თემა, პროგრამიდან ამოღებულია საკითხი „ირიბკუთხა სამკუთხედების ამოხსნა“.

IX კლასში მათემატიკის საათების საორიენტაციო განაწილება თემების მიხედვით:

ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები—4 საათი კვირაში, სულ 140 საათი.

1. პირველი ხარისხის განტოლებანი და უტოლობანი—24 საათი.

2. ნამდვილი რიცხვები და კვადრატული განტოლებანი—30 საათი.

3 რაციონალურმაჩვენებელიანი ხარისხები. ხარისხოვანი ფუნქცია—30 საათი.

4. პროგრესიები—10 საათი.

5. ნებისმიერი არგუმენტის ტრიგონომეტრიული ფუნქციები 40—საათი.

6. გამეორება—6 საათი.

გეომეტრია—2 საათი კვირაში, სულ 70 საათი:

1. მეტრული თანაფარდობანი მართკუთხა სამკუთხედში (აქ შედის აგრეთვე მართკუთხა სამკუთხედების ამოხსნა, წესიერი მრავალკუთხედის გვერდის გამოსახვა შემოხაზული წრეწირის რადიუსის საშუალებით და წესიერი მრავალკუთხედის ფართობის გამოანგარიშება) — 14 საათი.

2. წრეწირის სიგრძე და წრის ფართობი (წინასწარ მოსწავლეები უნდა გაეცნონ მასალას, რომელიც საჭიროა წრეწირის სიგრძისა და წრის ფართობის ფორმულის გამოყვანის დასაბუთებისათვის, როგორცაა—მიმდევრობის და მისი ზღვრის ცნება, ზღვრებზე ძირითადი თეორემები დაუმტკიცებლად)—12 საათი.

3. სტერეომეტრია (სივრცეში წრფეებისა და სიბრტყეების ურთიერთმდებარეობა)—38 საათი.

4. გამეორება—6 საათი.

სტერეომეტრიის შესწავლის დაწყებისათვის IX კლასის მოსწავლეები უნდა იქნენ უზრუნველყოფილი კისელების გეომეტ-

რის სახელმძღვანელოთი (II ნაწ.), და რიბკინის გეომეტრიის ამო-
ცანათა კრებულით (II ნაწ.).



ფიზიკა

წლებანდელ IX და მომავალი წლის X კლასში შემოდებულ უნდა იქნეს სწავლების წლების მიხედვით საპროგრამო მასალის შემდეგი განაწილება.

IX კლასში (175 საათი) „მექანიკა“, „მექანიკური რხევები და ტალღები“, „მოლეკულური ფიზიკა და სითბო“.

X კლასში (175 საათი) „ელექტრობა“, „ოპტიკა“, „ატომის აგებულება და ატომური ენერჯია“.

იმასთან დაკავშირებით, რომ ფიზიკის კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული საათების საერთო რაოდენობა შემცირდა 14 საათით, რეკომენდებულია სასწავლო პროგრამებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

IX კლასი

ა) თემის „სითხეებისა და გაზების მოძრაობა“ შესწავლისათვის გამოყოფილი დრო შემცირდება 3 საათით, ე. ი. ნაცვლად 8 საათისა ეს თემა შესწავლილ იქნება 5 საათში ლექციურად.

ბ) თემიდან „გაზებისა და ორთქლების თვისებები“ ამოღებულ უნდა იქნეს ლაბორატორიული სამუშაო: წყლის ორთქლადქცევის კუთრი სითბოს განსაზღვრა.

გ) შემაჯამებელი ექსკურსია ჩატარდება გაკვეთილების გარეშე.

დ) პროგრამაში მოცემული პრაქტიკუმების სიიდან მასწავლებლის არჩევით ჩატარდება მხოლოდ 5 სამუშაო (10 საათის მოცულობით).

X კლასი (1965—1966 სასწავლო წელი)

ა) თემისათვის—„განათებულობის კანონები. გეომეტრიული ოპტიკა“ პროგრამით გათვალისწინებული 15 საათი შემცირდება ერთი საათით.

ბ) პროგრამით X და XI კლასებში გათვალისწინებული ორი შემაჯამებელი ექსკურსიის ნაცვლად ჩატარდება ერთი ექსკურსია.

გ) X და XI კლასებში მასალის დამუშავებისათვის პროგრამით გამოყოფილი საათების საერთო რაოდენობიდან ფიზიკის პრაქტიკუმების ჩატარებისათვის ნაგარაუდფი 24 საათი შემცირდება

4 საათით. პროგრამაში მოცემული ჩასატარებელი პრაქტიკული სამუშაოების სიიდან მასწავლებლის არჩევით ჩატარდება 10 საათით შაო (20 საათის მოცულობით).

სასწავლო მასალის ასეთნაირი განაწილება მიმდინარე 1964—1965 სასწავლო წელს შეეხება მხოლოდ IX კლასს რაც შეეხება ამავე წლის X კლასს, ის ისარგებლებს იმ განაწილებით, რომელიც მოცემულია 1964 წელს გამოცემული ფიზიკის პროგრამის მე-9-10 გვერდებზე, და შესაბამისი პროგრამით, ხოლო XI კლასი მუშაობას განაგრძობს ადრინდელი პროგრამით (იხ. გვ. 35-38) და ისარგებლებს შესაბამისი განაწილების თემატური გეგმით (იხ. გვ. 34).

1964—1965 სასწავლო წელს X კლასი ასტრონომიას შეისწავლის იმავე პროგრამით, რომლითაც სწავლობს XI კლასი (იხ. პროგ. გვ. 39—48).

ქ ი მ ი ა

IX კლასი (კვირაში 4 საათი, სულ 140 საათი).

არაორგანული ქიმიკა. ქიმიის ძირითადი ცნებანი—10 საათი; ტუტე მეტალები—4/1 (მნიშვნელი გულისხმობს პრაქტიკულ სამუშაოს); ბალოგენები—14/3; პერიოდული კანონი და დ. ი. მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემა; ნივთიერებათა აღნაგობა—16; ხსნარები და დისოციაციის საფუძვლები—22/5; მეტალები—28/3; ჟანგბადი და გოგირდი—16/3; აზოტი და ფოსფორი 27/3; შემაჯამებელი ექსკურსია 3.

X კლასი (კვირაში 3 საათი, სულ 105 საათი).

არაორგანული ქიმიკა. ნახშირბადი და სილიციუმი—12/2;

ორგანული ქიმიკა. ორგანული ქიმიის საგანი—1; ნახშირწყალბადები. ა. შ. ბუტლეროვის ორგანული ნაერთების ქიმიური აღნაგობის თეორია—31/2; ჟანგბადშემცველი ორგანული ნაერთები—29/4; აზოტშემცველი ორგანული ნაერთები—11/2; ორგანული ქიმიის მიღწევები—8; ქიმიური ელემენტების დასკვნითი მიმოხილვა—10; შემაჯამებელი ექსკურსია—3.

ისტორია

IX კლასი

IX კლასში შემოღებულია სასწავლო მასალის შემდეგი განაწილება ისტორიის ცალკეული კურსების მიხედვით:

ახალი ისტორია, პირველი პერიოდი (47 საათი); ახალი ის-

ტორია, მეორე პერიოდი (41 საათი); სსრ კავშირის ისტორია (35 საათი).

IX კლასში ისტორიის შესწავლისას მხედველობაში რვაწლიან სკოლაში გავლილი ისტორიის კურსის შინაარსი. ამასთან დაკავშირებით დიდად არის შეკვეცილი სსრ კავშირის ისტორიის კურსი, უმთავრესად საბჭოთა პერიოდამდე. რიგი თემები (განყოფილებები) პროგრამით გათვალისწინებულია მიმოხილვისათვის (იხ. ქვემოთ). ამასთან, მხედველობაში მიიღება მასწავლებლის მიმოხილვითი ლექციები და განმაზოგადებელი მეცადინეობები, რომლის დროსაც განიხილება თემების მხოლოდ საკვანძო საკითხები.

1964—1965 სასწავლო წელს IX კლასში დასაწყისში შესწავლება ახალი ისტორიის პირველი და მეორე პერიოდები, ხოლო შემდეგ—სსრ კავშირის ისტორიის კურსი.

რეკომენდებულია საათების შემდეგი სანიმუშო განაწილება ცალკეული თემებისა და განყოფილებების მიხედვით:

ახალი ისტორია

(პირველი პერიოდი 47 საათი)

შესავალი გამეორება—საზოგადოების განვითარების ძირითადი ნიშნები ძველად და შუა საუკუნეებში, მსოფლიო ახალი ისტორიის დასაწყისისათვის (3 საათი).

I განყოფილება. ახალი დროის დასაწყისი (4 საათი).

თემა 1. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია XVII საუკუნეში. სამრეწველო გადატრიალების დასაწყისი* (2 საათი).

თემა 2. ინგლისის ამერიკული კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა (2 საათი).

II განყოფილება. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია XVIII საუკუნეში. კაპიტალიზმის განვითარება ევროპაში. დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. მეცნიერული კომუნიზმის წარმოშობა (23 საათი).

თემა 1. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია XVIII საუკუნეში—(6 საათი).

* ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია XVII საუკუნეში ფართოდ არ შესწავლება; მასწავლებელი მხოლოდ მოკლედ ახასიათებს მის შედეგებსა და ისტორიულ მნიშვნელობას, მთავარ ყურადღებას აქცევს ინგლისში სამრეწველო გადატრიალების დასაწყისის შესწავლას.



- თემა 2. საფრანგეთი 1794—1815 წლებში (2 საათი).
- თემა 3. რეაქცია ევროპაში. XIX საუკუნის 20-იანი რევოლუციური მოძრაობანი (1 საათი).
- თემა 4. დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში—მიმოხილვა (1 საათი).
- თემა 5. საფრანგეთი 1815 წლიდან 1848 წლამდე* (1 საათი).
- თემა 6. ინგლისი 1815 წლიდან 1848 წლამდე (2 საათი).
- თემა 7. უტოპიური სოციალიზმი—(1 საათი).
- თემა 8. მეცნიერული კომუნიზმის წარმოშობა (5 საათი).
- კ. მარქსი და ფ. ენგელსი.
- თემა 9. 1848 წლის რევოლუციები ევროპაში (5 საათი).

III განყოფილება. კაპიტალიზმის განვითარება ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში XIX საუკუნის 50—60-იან წლებში. აღმოსავლეთის ქვეყნები (14 საათი).

- თემა 1. ინგლისი 50—60-იან წლებში (1 საათი).
- თემა 2. ინდოეთი (2 საათი).
- თემა 3. ჩინეთი (2 საათი).
- თემა 4. იაპონია** (1 საათი).
- თემა 5. აშშ. XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სამოქალაქო ომი აშშ-ში (3 საათი).
- თემა 6. იტალიის გაერთიანება მიმოხილვა (1 საათი).
- თემა 7. გერმანიის გაერთიანება (2 საათი).
- თემა 8. I ინტერნაციონალი 1870 წლამდე (2 საათი).
- თემა 9. ლიტერატურა და ხელოვნება კაპიტალიზმის გამარჯვებისა და განმტკიცების პერიოდში (1 საათი).

საზოგადოების განვითარების ძირითადი შედეგები ახალი ისტორიის პირველ პერიოდში—შედეგების განხილვისას წარმოებს ახალი ისტორიის პირველი პერიოდის ძირითადი მოვლენების გამოვლენა (3 საათი).

ახალი ისტორია. მეორე პერიოდი
(41 საათი)

- თემა 1. საფრანგეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა (4 საათი).

* თემა „საფრანგეთი 1815 წლიდან 1848 წლამდე“ ცალკე არ შეისწავლება; მისი უმნიშვნელოვანესი საკითხები მასწავლებელმა მოკლედ უნდა გააშუქოს საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის შესწავლის დროს.

** თემა „იაპონია“ ცალკე არ შეისწავლება; მასწავლებელი მოკლედ გადმოსცემს იაპონიის 1867—1868 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითად შედეგებს და იძლევა შესასწავლი პერიოდის აღმოსავლეთის ქვეყნების განვითარების საერთო დახასიათებას.

თემა 2. გერმანია XIX საუკუნის დამლევა და XX საუკუნის დასაწყისში (4 საათი).

თემა 3. ინგლისი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში (3 საათი).

თემა 4. საფრანგეთი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში—მიმოხილვა (1 საათი).

თემა 5. სამხრეთისა და დსავლეთის სლავები XIX საუკუნის დამლევა და XX საუკუნის დასაწყისში (2 საათი).

თემა 6. აშშ XIX საუკუნის დამლევა და XX საუკუნის დასაწყისში (3 საათი).

თემა 7. აზიის გამოღვიძება (5 საათი).

თემა 8. იაპონია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში* (1 საათი).

თემა 9. აფრიკის ხალხები XIX საუკუნის დამლევა და XX საუკუნის დამლევა—(1 საათი).

თემა 10. ლათინური ამერიკის ხალხები XIX საუკუნის დამლევა და XX საუკუნის დამლევა (1 საათი).

თემა 11. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა. II ინტერნაციონალი (3 საათი).

თემა 12. კულტურა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში—მიმოხილვა (1 საათი).

თემა 13. იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია (3 საათი).

თემა 14. საერთაშორისო ურთიერთობანი XIX საუკუნის დამლევა და XX საუკუნის დასაწყისში (1 საათი).

თემა 15. პირველი მსოფლიო ომი 1914—1918 წლებში (7 საათი).

გამეორება (2 საათი).

სსრ კავშირის ისტორია (35 საათი)

III განყოფილება — „ფეოდალიზმის რღვევა და კრიზისი; კაპიტალიზმის ურთიერთობათა განვითარება რუსეთში; ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის დასაწყისი“—გავლილი იქნება მიმოხილვით (6 საათი). IX კლასში სსრ კავშირის ისტო-

* თემა „იაპონია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში“ ცალკე არ იწავლება; მასწავლებელი მოკლედ დაახსიათებს იაპონიის განვითარებას შესასწავლ პერიოდში მეშვიდე თემის—„აზიის გამოღვიძების“ გავლის დროს.

რის კურსის სისტემატური შესწავლა გათვალისწინებულია IV განყოფილებიდან— „რუსეთი კაპიტალიზმის პერიოდში. რევოლუციური-დემოკრატიული ეტაპი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის დასაწყისი“ და თემად— „თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია“ ჩათვლით (29 საათი).

განყოფილება IV. რუსეთი კაპიტალიზმის პერიოდში.

რევოლუციურ-დემოკრატიული ეტაპი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის დასაწყისი (11 საათი).

თემა 1. XIX საუკუნის 60 იანი წლების ბურჟუაზიული რევოლუციები (3 საათი).

თემა 2. კაპიტალიზმის განვითარება და მუშათა მოძრაობის ზრდა რუსეთში XIX საუკუნის 60—90-იან წლებში (8 საათი).

განყოფილება V. რუსეთი კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის—იმპერიალიზმის პერიოდში. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადანაცვლება რუსეთში—(16 საათი).

თემა 1. რუსეთის შესვლა იმპერიალიზმის სტადიაში. რუსეთი—ლენინიზმის სამშობლო (4 საათი).

თემა 2. 1905—1907 წლების რევოლუცია რუსეთში—იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია (6 საათი).

თემა 3. რუსეთი ორ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას შორის 1907—1917 წლები (4 საათი).

თემა 4. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია—(2 საათი).

გამეორება (2 საათი).

1964—65 სასწავლო წელს IX კლასში საქართველოს ისტორიისათვის ცალკე საათები არ არის გათვალისწინებული; საქართველოს ისტორიის შესწავლა ამ კლასში უნდა მოხდეს სსრ კავშირის ისტორიის შესაბამის პერიოდებთან სინქრონულად, ხოლო სალიკვიდაციო X—XI კლასებში საქართველოს ისტორიის სწავლებისას მასწავლებლებმა უნდა იხელმძღვანელონ მოქმედი პროგრამით, —ამასთან X კლასში საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის პროგრამით გათვალისწინებული 15 საათი ანაზღაურებული უნდა იქნას ამ კლასში ახალი ისტორიისა და სსრ კავშირის ისტორიის კურსის შემვიდროების გზით, რომელსაც მასწავლებლები გააკეთებენ თავიანთი შეხედულებებისამებრ.



მომდევნო სასწავლო წლებში საშუალო სკოლის უფროსებსა და მასწავლებლებში სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია და საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფია არ შეისწავლება.

X კლასში მიმდინარე—1964—1965 სასწავლო წელს შეისწავლება საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფიის კურსი. ამ კლასში გეოგრაფიის სწავლება უნდა ვაწარმოოთ ი. ი. მაძავეის „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფიის“ სახელმძღვანელოს 1961 წლის გამოცემის კრედიტულად გამოყენებით. მართალია, სახელმძღვანელო მთლიანად ვერ აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს, მაგრამ გეოგრაფიის მასწავლებლებმა ეს დანაკლისი უნდა შეავსონ გაზეთებში, წიგნებსა და ჟურნალებში მოთავსებული შესაფერისი მასალების ფართო გამოყენებით.

XI კლასში გეოგრაფია არ ისწავლება, ვინაიდან საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფიის კურსი გავლილია VIII კლასში, ხოლო სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია X კლასში.

უცხო ენები

წინათ მოქმედი პროგრამების მიხედვით უცხო ენების შესწავლა საშუალო სკოლის უფროს კლასებში აგებული იყო ისე, რომ მთელი ახალი ენობრივი მასალა ისწავლებოდა IX და X კლასებში, ხოლო XI კლასისათვის სასწავლო გეგმით განკუთვნილი დრო გამოყენებული იყო ზეპირმეტყველებისა და კითხვის ჩვენების სრულყოფისათვის, ლექსიკის შემდგომი გაფართოებისათვის, შესწავლილი მასალის გამეორებისა და ვარჯიშობებისათვის. 1964—1965 და 1965—1966 სასწავლო წლებში საშუალო სკოლის ყველა უფროსი კლასი იმუშავებს ამჟამად მოქმედი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, გარდა IX კლასისა, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს ახალი სახელმძღვანელოებით იმუშავებს ინგლისურსა და ფრანგულ ენებში.

საწარმოო სწავლება

საწარმოო სწავლებას წლებანდელ IX და მომავალ X კლასებში ახალი სასწავლო გეგმის ბადით ეთმობა 280 საათი. გარდა ამისა, პრაქტიკული სწავლებისა და მწარმოებლური შრომისათვის გამოყოფილია ამავე IX კლასში 42 სამუშაო ღლე, დღეში 6 საათი,

ე. ი. 252 საათი, ხოლო X კლასში—12¹/₂ სამუშაო დღე, ე. ი. 72¹/₂ საათი, სულ 324 საათი. პრაქტიკული საათების გამოყენება უნდა მოხდეს შემდეგი წესით: საწარმოო პრაქტიკა IX კლასში ტრაქტორის ეტაბად ტარდება კერძოდ, სამი კვირა ანუ 18 დღე სასწავლო მეცადინეობის პერიოდში და ოთხი კვირა, ანუ 24 დღე არასამეცადინო დროს სასწავლო წლის დამთავრებისთანავე. ამრიგად, საწარმოო სწავლებაზე ათწლიან საშუალო სკოლაში სულ გამოყოფილია 604 საათი. სოფლის საშუალო სკოლაში ამის ზევით გამოიყოფა 10 საათი X კლასის თითოეულ მოსწავლესზე ტრაქტორის ტარების ინდივიდუალურად შესწავლისათვის.

ამ პირობებში საწარმოო სწავლება საშუალებას იძლევა მოსწავლეებს მიეცეთ სახალხო მეურნეობის გარკვეულ დარგებში მუშაობისათვის პირველდაწყებითი საწარმოო-ტექნიკური ცოდნა-ჩვევები, მოვანზადოთ ისინი მანქანათმშენებლობისა და მასალათა მექანიკური დამუშავების, ქიმიური წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ელექტრორადიოტექნიკის წარმოების, გამოყენებითი მათემატიკის (პროგრამისტ-გამომთვლელი) და საფეიქრო მრეწველობის ერთ ერთ მასობრივ პროფესიაში და შრომითი მომსახურების ზოგიერთ სფეროში სამუშაოდ.

საწარმოო სწავლებამ უნდა შეინარჩუნოს გარკვეული პროფესიული მიმართულება. იგი უნდა დასრულდეს X კლასში, ისე როგორც წინათ, შემოწმებითი გამოცდების ჩატარებით და მოსწავლეთა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების შეფასებით. თეორიულად და პრაქტიკულად საკმაოდ მომზადებისას კურსდამთავრებულს შეიძლება მიეცეს საკვალიფიკაციო მოწმობა ადრე დადგენილი წესით.

ახალი სასწავლო წლიდან IX კლასისათვის საწარმოო სწავლების პროფილების შერჩევა უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ მოსწავლეებმა ორი წლის განმავლობაში შეძლონ მიიღონ საჭირო საწარმოო-ტექნიკური ცოდნა-ჩვევები საწარმოო შრომაში მათი ჩაბმისა და შეძლებისდაგვარად ერთ-ერთ მასობრივ პროფესიაში პირველი თანრიგის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის.

ქალაქის სკოლისათვის ასეთ პროფილად შეიძლება შეირჩეს:
ა) მასალათა ტექნიკური დამუშავების პროფესიები—სხვადასხვა სპეციალობის ზეინკალი, ხარატი, მბურღავი, მეავეჯე, ამწყობი ღურგალი და სხვ.



ბ) ქიმიური მრეწველობის პროფესიები — ლაბორანტი, რაქტი, ოპერატორი და სხვ.

გ) ელექტრორადიო ტექნიკური პროფესიები — ელექტროაპარატების, ელექტროხელსაწყოების ამწყობი, საექსპლოატაციო ელექტრომონტიორი, რადიომემონტაჟე და სხვ.

დ) მაუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროფესიები — მქსოველი, მრთველი, მკერავი-შემანქანე, მასობრივი დამზადების ფესხაცმლის მკერავი და სხვ.

ე) საამშენებლო პროფესიები — მღებავი, მეღუმეღე, ღურგალი, მებრმატურე, კალატოზი, სადამშენებლო მანქანების ზეინკალ-შემკეთებელი, ზეინკალ-სანტექნიკოსი, მექანიკური გამოცდის ლაბორანტი, მღესავი და სხვ.

ქალაქის საშუალო სკოლაში შეიძლება აგრეთვე გაგრძელდეს მძღოლების, პროგრამისტ-გამომავლელების, რეფერანტ საქმისმწარმოებლების და შრომითი მომსახურების ზოგიერთი კატეგორიების მუშების მომზადება, მხოლოდ სათანადო სასწავლო-საწარმოო ბაზების არსებობის, კვალიფიციური ინსტრუქტორების და სპეციალისტებზე რეალური მოთხოვნილების გათვალისწინებით.

სოფლის საშუალო სკოლების IX და X კლასებში საწარმოო სწავლების ძირითად მიზანს შეადგენს სოფლის ახალგაზრდობის ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. სოფლის ათწლიანი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული უნდა დაეუფლოს სოფლის მეურნეობის ტექნიკას და სპეციალურ ტექნოლოგიას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის მექანიზატორების, სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტროფიკაციის მუშაკების, მეცენარეობისა და მეცხოველეობის სხვადასხვა დარგების სპეციალისტების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ლაბორანტების მომზადებას.

ქალაქისა და სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში საჭიროებისა და პირობების მიხედვით შეიძლება განხორციელდეს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება (საბავშვო ბაღის აღმზრდელები, ექთან-აღმზრდელები, პიონერხელმძღვანელები, ბიბლიოთეკარები, კლუბის მუშაკები, მუსიკალური დარგის მუშაკები და სხვ.). სოფლის ზოგიერთ სკოლაში, სადაც ამის პირობებია, უნდა მომზადდეს მოანგარიშეები კულმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

1964 - 1965 და 1965 - 1966 სასწავლო წლებში ქალაქის საშუალო სკოლების IX-X კლასების მოსწავლეთა საწარმოო მომზადებისათვის ძირითად სპეციალობებში დადგენილია შემდეგი სასწავლო ვეგმა.

საგნების დასახელება	საათ. რაოდენობა კვირაში				საათების რაოდენობა		
	IX		X		კვირეული	წლიური	
	სასწ. წლ. I ნახ.	სასწ. წლ. II ნახ.	სასწ. წლ. I ნახ.	სასწ. წლ. II ნახ.			
ა) თეორიული სწავლება.							
1	ზოგადტექნიკური და ზოგადდარგობრივი საგნები	1	1	1	1	2	70
2	სპეციალური მომზადება	1	1	1	1	2	70
ბ) პრაქტიკული სწავლება და შრომა							
3	პრაქტიკული სწავლება და მწარმოებლური შრომა წლის განმავლობაში	2	2	2	2	4	140
ს უ ლ		4	4	4	4	8	280
გ) საწარმოო პრაქტიკა							
4	დღეები	42		12			54
	საათები	252		72			324
სულ კურსზე							604

